1877—1894

# ივერია

№ 234

პარასკევი, 4 ნოემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 234

პარასკევი, 4 ნოემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს კარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საკაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღებს დაიწყებს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხოჯივანქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—24)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ Miss მარჯორი ვარდროპმა გადათარგმნა ქართულიდგან ინგლისურს ენაზედ ალნიამეილისა და სხვათა მიერ შეკრებილი არაკები და ეს თარგმანი გამომცემელმა „Grimm Library“-მ გამოსცა. აი ამ წიგნის შესახებ რასა სწერს ლონდონის საისტორიო-საპოლიტიკო ჟურნალი „Saturday Review“ ი:

ჯერ არც ერთხელ არ გამოცემულა წიგნი ასეთის მოსურსებით, როგორიც არის Miss მარჯორი ვარდროპის „Georgian Folk Tales“—„ქართული არაკები“, გამოცემული ალფრედ ნეტის მიერ, რომლის გამოცემულ წიგნებსაც სწორედ რომ ლამაზად ეწოდება „Grimm Library“. ეს არაფერი მონოგრაფიაა საერო სიტყვიერებისა, სრულიად ახალი მასალაა, არაკების სახით დაწერილი, კრიტიკულ გამოკვლევისათვის და დიდად სასიამოვნო და სახალისო საშრომი საქმეა. ამ წიგნს უფრო ისა ჰხდის ძვირფასად, რომ ბევრის მეცნიერისათვის უცნობ ენიდგან არის გადმოთარგმნილი, რის გამოც ეს წიგნი დიდად იზიდავს „Grimm Library“-ის ინგლისელ მკითხველების ყურადღებას. Miss მარჯორი ვარდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში მეტად სიუხვე უპოვნია და ივისს წიგნში მოუქცევია, რაც ერთად-ერთი ახალი ამბავია ინგლისელ მკითხველებისათვის. ამ მიმზიდველ და მომხიბლელ არაკების კრებულის სამი ნაწილი—ქართლ-კახურ-მეგრულ-გურულ არაკებისა,—ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათითაც და წერის კილოთიც. არსებითი განსხვავება თვით არაკებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვით მთარგმნელი არაფერია, რის მიზეზიც გეოგრაფიული მდებარეობა უნდა იყოს იმ ადგილებისა, სადაც არაკებია გაგონილი. არაკები ძალიან საინტერესოა და ჰმოწმობს, რომ ბევრით ჰმსგავსებია ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერო სიტყვიერება.

**

უცნაურს ამბავს სწერს დღეს გაზ. „Кавказъ“-ის კორესპონდენტი ქიზიყის შესახებ:

ქურდობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქიზიყში, ისტორიულის გარემოებით შექმნილი. ქიზიყი მაჭმადიანების ქვეყნის საზღვარზედა სძევს და ერთის მხრივ ლეკებსა და მეორეს მხრივ თათრებს შუაა გამომწყვდეული. თათობითვე შეწუხებული იყო ქიზიყი ამ ხალხისაგან. თათრების აღვირ-ახსნილ ზნე-ჩვეულებას, სხვა ხალხთან შედარებით, დაბალს კულტურას და სიუხეშით შეთვისებულ ჩვეულებას, უშრომლად, ცარცვა-ტაცებით შეძენა სარჩოისას, რასაკვირველია, გამათახსირებელი გავლენა უნდა ჰქონოდა მეზობელს ქიზიყელებზედ. მაჭმადიანთა თავ-დასხმამ სულ სხვა გვარი ელფერი დასდო ქიზიყელებს, რომელნიც იძულებულნი იყვნენ მაღალი ადგილები მოეძებნათ და იქ დასახლებულიყვნენ მჭიდროდ.

ამას გარდა მუდმივმა დარაჯობამ, მუდმივმა დაცვამ თავისის თავისა და ქონებისამ მტერთა თავ-დასხმისაგან და უთვალთვის მზად ყოფნამ ბრძოლისათვის, დიდი გავლენა იქონია ქიზიყელებზედ და ერთის მხრივ, კაჟკაცური, მედგარ და უშიშარ ხალხის ტიპად გარდაჰქმნა კავკასიის ყველა ხალხს შორის, და მეორეს მხრივ ქიზიყელებიც შეაჩვია ქურდობას, და ამ ბოროტებას ისე-კი არ უცქერიან, როგორც ზნეობის შემლახველს საქციელს, არამედ, ყოჩაღობად სთვლიან, თავის გამოსაჩენ ხელობად. ქიზიყელი უზნეობად სთვლის მოტყუებას, წონასა და ზომაში სიყალბეს, ვისიმე შეურაცხყოფას, და მთელის ცხენის ჯოგის, ძროხებისა, ხარების ძალით დარეკვა-კი სიყოჩაღე ჰგონია. უთვალავს ეს უბრალო და უმნიშვნელო ამბად მიაჩნია და რომელსაც საქურდლად მიდის, ღმერთს შეეხვეწება ხოლმე, ხელი მოგვიმართო, და თუ გაიმარჯვებს ხშირად ნაქურდალის ნაწილს ღმერთს მსხვერპლად მიართმევს ხოლმე.

ნეტავი რომელი რომანიდან არის ამოღებული ეს ამბავი?

**

„ნორ-დარის“ კორესპონდენტი ერთს სასაცილო ამბავს მოგვითხრობს ოსმალეთის სასამართლოების შესახებ:

ერთი ყმაწვილი კაცი, სომეხი, სოფლიდგან ქალაქს ჩამოსულა სამსახურის საძებნელად. აქედგან იმას თავისს მეგობრისათვის წერილი მიუწერია, რომ ეხლა მე „ისპანიის კოშკებს“ ვაშენებო (ჩვენებურად რომ ვსთქვათ, „ქარის წისქვილებს ვაბრუნებო“), რადგანაც ყველა სოფლიდგან ჩამოსულს სომეხს პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს, ეს წერილი პოლიციას ჩავარდნია ხელში. ბრალმდებელმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ამ წერილს, რადგანაც წარმოიდგინა, რომ ეხლა-კი ხელში მოვიგდე სომხების უმთავრესი წინამძღოლი და ნამდვილად შევიტყობ, სადაც აშენებენ სომხები სიმაგრეებს, რომ აჯანყების დროს შიგ თავი შეაფარონო. ყმაწვილი კაცი საჩქაროდ დააპატიმრეს თურმე და გამოძიება დაიწყეს.

ამაოდ არწმუნებდა საცოდავი კაცი, რომ არავითარი სარევოლიუციო განზრახვა არა მქონი ო, მაგრამ არავინ დაუჯერა. სასამართლომ გარდასწყვიტა ეწამებინათ იგი და მისი წერილიც წარუდგინეს. ყმაწვილმა კაცმა აუხსნა ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მაინც არ დაუჯერეს. მხოლოდ როდესაც საფრანგეთის ელჩის დრაგომონმა დაიფიცა და დაარწმუნა, ამ სიტყვების მნიშვნელობა სწორედ ის არისო, მაშინ გაანთავისუფლეს წამებული ყმაწვილი და 10 ოქროც მისცეს საჩუქრად.

## უცხოეთი

—

**იაპონია.** იაპონელების განმარტოებული მთები სრულიად დაფენილია სასაფლაოებით; მაგრამ ეს სასაფლაოები შიშსა ჴ ფიქრსაც არ ჰგვრის ადამიანს· ეს არხეინი ხალხი სიკვდილსაც არხეინად ექცევა. სამარეებს ან ქვისაგან გამოქანდაკებული ბუდდა აფარია, ან ოქროს ასოებით დაწერილი ქვები. თითოეული სამარე შემოღობილია და აქა-იქ მთა-ღელეში გაფანტული. თითოეულ საფლავთან გრძელი ქვის კიბე მიდის, უბრალო ხელოვნებისა. მთის ქედზედ ძველი სასაფლაოებია. აქ ეხლა არავის მარხვენ. ღამის გათევაც საშიში არ არის. ჟამთა-ვითარებამ მიცვალებულნი დიდი ხანია მტვრად აქცია, ხოლო ხავსით დაფენილი საფლავის ქვები და ბუდდები ჰმოწმობენ, რომ ოდესღაც მრავალი ხალხი ყოფილა, რომელიც დრო ჟამის წყვდიადს შთაუნთქავს.

—

**საფრანგეთი** გაზ. „Chambard“-ის რედაქტორი სამართალში მისცეს, რადგან კაზიმირ პერიეს შეურაცხმყოფელი წერილი იყო შიგ დაბეჭდილი. წერილის ავტორის დამცველად გამოჩენილი ორატორი, პარლამენტის წევრი, ჟორესი გამოვიდა, ბრალმდებელმა ნაფიც მსაჯულთ ამ სიტყვებით მიჰმართა თურმე: „ის რომ გქონდეთ მონდობილი, რომ გადასწყვიტოთ ვინ უფრო მჭევრ-მეტყველია, მე თუ ჩემი მოწინააღმდეგე, მაშინვე იარაღს დავსდებდი და პირველობას იმას დავუთმობდი, მაგრამ მე თქვენს გონიერებას და საღ ჭკუას მივმართავ. ჟორესის სიტყვა მჭერ-მეტყველობის მხრივ სწორედ რომ შესანიშნავი ყოფილა, მაგრამ-კი კაზიმირ- პერიეს საწინააღმდეგოდ უფრო იყო წარმოთქმული თურმე, ვიდრე ბრალდებულის დასაცველად. „Chambarp››-ს რედაქტორს 3,000 ფრანკი ჯარიმა და ციხეში ერთის წლით ჩაჯდომა გადუწყვიტეს.

პარიზის ქალაქის საბჭოში თხოვნა შეუტანიათ, «თანხმობის“ მოედანზედ სამგლოვიარო ეტლი დააყენეთო, რომლის წინ ხალხს გავლა შეეძლებოდეს რუსეთის ხელმწიფის დასაფლავების დღესაო. გარეშე საქმეთა მინისტრიმა საფრანგეთიდგან პეტერბურგს გვირგვინების გასაგზავნად 2 ვაგონი შეუკვეთა.

მღვდელ გარნიეს თავმჯდომარეობით ერთ კრებას გადუწყვეტია პარიზში იმპერატორის ალექსანდრე III ძეგლის დასადგმელათ ფული შეჰკრიბონ და იმპერატორ ნიკოლოზს მწუხარება გამოუცხადონ.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისში გავრცელებულა ხმა, ვითომ რკინის გზის უფროსი ფრიდე სხვაგან გადიყვანესო, სიცრუეა. ინჟენერი პუშეჩნიკოვი მხოლოდ რკინის გზის უფროსის მოადგილედ დაამტკიცეს და არავითარი სხვა თანამდებობა მას არ მიუღია.

*** გორის მაზრის მარშალი სულხანიშვილი მთავარ-მართებელმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზედ.

*** ამ დღეებში სომეხთა ეპისკოპოსს, ტფილისის ეპარქიის უფროსს, გეურქ სურენიანცს ეჩმიაძინიდგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა. „ჩემს წმიდა მოვალეობადა ვსთვლი განსაკუთრებული წარმომადგენელი გავგზავნო პეტერბურგს რათა დაესწროს სომხის ეკკლესიის სახელით გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის გვამის დაკრძალვას და მის იმპერატორებით უდიდებულესობის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის ტახტის წინაშე განაცხადოს ჩვენი ულრმესი მწუხარება და გრძნობა ჩვენის ერთგულ ქვეშევრდომობისა. მოგანდობთ თქვენ, პირადად მოელაპარაკოთ მთავარ-მართებელს და თუ შესაძლებელი იქმნება, დაუყოვნებლივ გაემგზავროთ პეტერბურგს. სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩი“.

2 ნოემბერს სურენიანცი უკვე წავიდა პეტერბურგს (გაზ. „კავკაზი“).

*** ხევი (დუშეთის მაზრა) ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე-III სულის მოსახსენებლად სოფლის სიონის მღვდელმა ზაქარია კომაიძემ ამ ოქტომბრის 28, 29 და 30 გადაიხადა პანაშვიდი, რომლებზედაც ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო, როგორც ადგილობრივ ამ სოფლის მცხოვრებნი აგრეთვე ყველა მახლობელ სოფლებიდგანაც.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ მამა დავითის სამრევლო ქალთა სკოლის საპატიო მზრუნველს კნეინა ალექსანდრა მამუკას ასულს მელიქიშვილისას გადაუწყვეტია, რომ უქირავლათ საკუთარი სახლი შეიძინოს ამ სასწავლებლისათვის და რამდენსამე ობოლ ბავშს თავ-შესაფარი გაუწყოს.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა,

...ფილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოხსენების თანხმად, განკარგულება მოახდინა თეატრის დამხმარე კასსიდგან 3000 მანეთი გადაიღოს უღარიბესთ ხოროსსა და კონცერტების წევრთა, და სახელმწიფო თეატრში მოსამსახურეთა დასახმარებლად. თეატრი დაკეტილი იქნება ექვს კვირას 20 ოქტომბრიდგან, ისე რომ დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება წარმოდგენები.

*** 2 ნოემბერს ნაშუადღევის სამ საათზე ავჭალის ქუჩაზე, სარქისოვის სახლთან, მოდიოდა ქალი რომელსაც ხელში წიგნი და ქაღალდში რაღაც გახვეული ეჭირა. ამ დროს გამოვიდა ნავთის საწყობიდგან კაცი და მუჯლუგუნი ჰკრა, მერე დაუჭირა ამ ქალს მკლავი და უთხრა უნდა გავიცნოთო. ქალმა ხელი გაინთავისუფლა და ყუაში გაარტყა ჯერ წიგნი და მერე ხელი. კაცმა ხელი მოჰკიდა და ორჯელ შეანჯღრია საპრალო ქალი. ხმაურობაზედ ხალხი მოგროვდა ქალი სასოწარკვეთილებით გაიძახოდა: ჰკითხეთ მაგ კაცს მიცნობსო? მერე რად მომექცაო?!. პოლიციელი არსად სჩანდა.

*** გაზ. „Кавказ. Сельск. Хоз.“ სწერენ დ. ცხინვალიდგან, რომ საფილოქსერო დასს წრეულს მარტო ხუთს ვენახში მოუსწრია ფილოქსერის აღმოჩენა. წვიმებმა და ავდრობამ ხელი შეუშალა თურმე დასის მუშაობას და ჯერ კიდევ ბევრი ვენახი დარჩა გაუსინჯავი. რაღა თქმა უნდა, მერმის ფილოქსერიანი ვენახები უფრო მეტი გამოჩნდება, რადგან წრეულს იმ ხუთ ვენახიდგან ფილოქსერა, ფრთებს შეისხავს თუ არა, სხვა ვენახებში გადაფრინდება, დასდებს კვერცხსა, იბარტყებს და საზარელს მოქმედებას დაიწყებსო.

*** ს. აწყური. არც ჩვენი სოფელი ჩამორჩა სხვა მხრის სოფლებს ერთობ მისწრაფებით და სწავლა-ცოდნის შეძენის სურვილით. აქ თითქოს სამი წელიწადია, რაც ხალხს გამოფხიზლება დაეტყო. რამდენჯერმე იყო ყრილობა და ლაპარაკი სასწავლებლის დაარსების შესახებ; რადგანაც ხალხმა სახლის ქირის მიცემა ვერ შეიძლო, ამიტომ აქ მცხოვრებელმა აზნაურმა პაატა სულხანიშვილმა დაუთმო ერთი თავისი ოთახი, რომელშიაც ერთი წელიწადი სწავლობდნენ ამ სოფლის ბავშვები. ხალხმა ერთი ერთმანეთის მიბაძვით მიიყვანეს შვილები სასწავლებლად. ამავე სოფლის აზნაურმა სვიმონ მელვილეთხუციშვილმა შესწირა სასწავლებლისთვის ერთი მშვენიერი ალაგი. ამავე წელს საზოგადოების დახმარებით ააშენეს ორ სართულიანი სახლი და აგერ წრეულს უკვე 160 ბავშვი სწავლობს ამ სასწავლებელში.

*** ქუთაისი. პირველს ნოემბერს ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა ქუთაისში. ბაზარში კამბეჩი დაფრთხა და ბაღისაკენ გაექანა. „ფრანცია“-ს სასტუმროსთან დაეტაკა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს შალიკოვს და არხში ჩააგდო. პოლიციელნი იქავე იდგნენ, მაგრამ შიშით ვერ მიეკარნენ. გუბერნატორს არა დაშავებია-რა.

*** სოფელ კოტორაანთ-კარი (დუშეთის მაზრა) 28 ოქტომბრიდგან აქ ხოლერა გაჩნდა და ორი იმსხვერპლა: მათე ედიშერაშვილი და დიმიტრი აბედუკაძე, და დღესაც ოთხი ავად არის. ედიშერაშვილი და მიზმანაშვილი ქალაქ ტფილისიდგან მოიყვანეს ავადმყოფნი. ეს ამბავი ადგილობრივმა მღ. ასათიანმა აცნობა მცხეთის ბოქაულს და გურამიანთ კარის მამასახლისაც, მაგრამ დღევანდლამდის არაფერი ღონე არ არის მიღებული ავადმყოფობის მოსასპობლად. მხოლოდ წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებლიდგან მღვდელმა წაიღო სულეიმანი და ის დაურიგა ხალხს სახლების სასხურებლად და მიცვალებულს დასაფლავების დროს კირი დააყარა.

ნოდარაანთ-კარში, ამავე მაზრასა და საზოგადოებაში, საქონლის ჭირი მძვინვარებს და ლეშები გზებში ჰყრია.

*** ს. ქედა (ქვედა აჭარა) ამ დღეებში წვიმებმა თვალი არ გაახილებინა ფუხარა ხალხს. ერთი დღე რომ კარგი ტაროსი არის, მეორე დღეს წვიმა მოდის. სიმინდება სულ ერთიანად გაფუჭა სიცივემ: წინედ თუ ღარიბს ასი ფუთი სიმინდი მოუვიდოდა ერთს ყანაში, წრეულს ათი ფუთი არ მოსვლია. ჩვენში შიმშილობის ნიშანია და გაზაფხულს შიმშილი იქნება კიდეც.

*** ცხინვალი. რთვლები ყველგან გათავდა და მოსავალს ძლიერ ემდურებიან. ტკბილს არა აქვს ფასი, რადგან ეშინიათ, მჟავე ღვინო დადგებაო.

*** შორაპნიდგან ოქტომბრის თვეში გაიგზავნა 614 ვაგონი ქვა-გუნდა: ყვირილიდგან-კი 93 ვაგონი.

*** „Нов. Время“-ს შეუტყვია, რომ სპარსეთის შაჰს პეტერბურგში ფაიფურის სამგლოვიარო გვირგვინი შეუკვეთნია.

## დამაკვირდი

მსოფლიოს დიდებულნი პოეტნი მოკლინებიან ხოლმე ქვეყანას მხოლოდ ერის დიდებულ საქმეთა შედეგ.

ვიქტორ ჰიუგო

**

ათასი წელი უნდება სახელმწიფოს მოწყობას, მაგრამ ერთი წამი კმარა მისდა ფერფლად საქცევლად.

ბაირონი

**

დიდად ვშიშობ, სამყაროსა შინა ეს ჩვენი დედამიწა საგიჟეთი ხომ არ არის.

ვოლტერი

## ნაწყვეტები

გულის მზე, ხარ, სულის მთვარე,
სიცოცხლე ნუ გამიმწარე,
რად არ ისმენ ჩემს ვედრებას:
მაყვარხარ, შენც შემიყვარე;
ერთხელ მაინც ჩემსა ცრემლსა
შენი ცრემლიც დაათქვარე,
მერე თუნდა გულში თოფი
დამე, მიწას მამაბარე.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

ს. კურსები, (ქუთაისის მაზრა). კურსები იმყოფება 12 ვერსის მანძილზედ ქუთაისიდგან, სადაც ას-სამოცი კომლი გლეხი სცხოვრობს. აქ ბუნება მდიდარია. სახნავ-სათესი ადგილები საკმაოთ არის. სთესენ უფრო სიმინდს და ღომს. პურს და ფეტვს კი იშვიათად შეხვდებით. ვაზი აქ ძალიან ვარგობდა და კარგის თვისების ღვინოც დგებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, ეს ხუთი წელიწადია, რაც რომ ვაზს რაღაც სნეულება გაუჩნდა და ძალიან დააზიანა. თუმცა, „საფილოქსერო დასს“ ფიქრადაც არ მოსვლია ჩვენში ვაზების გასინჯვა, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც სხვისი თქმით და ჩაგონებით იყიდეს ვაზის სასხურებელი მანქანა და თავიანთ ვენახებს უწამლეს. ამ ცდას და შრომას ფუჭად არ ჩაუვლია: სხურებამ მართლაც არგო ვაზს და ღვინო უწინდებურად მოუდისთ. მაგრამ, ვისაც-კი მამული ღვთის ანაბარად აქვს მიტოვებული და ამას გაიძახის: „თუ ღმერთს უნდა, ათასი რო უწამლო, მაინც არა ეშველება-რაო“, იმას-კი მისი მესამედი ღვინოც არ მოსდის, რაც რომ უწინ მოსდიოდა. კურსებში ხალხის ერთად-ერთს საშუალებას, სახელმწიფო და საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეადგენდა ღვინო, რომელიც საპალნე ოცი მანეთიდგან ხუთ თუმნამდე ისყიდებოდა. დღეს-კი, მომეტებულ ნაწილს, არამც თუ გასასყიდი, არამედ სამყოფიც არ მოსდის. სახელმწიფო და საერო მოთხოვნილება თანდათან მატულობს და ხალხი-კი, რაც დრო გადის, უფრო ღარიბდება. მხოლოდ ეს ექვსი წელიწადია, რაც რომ ხალხს აღმოუჩნდა წყარო ორიოდე გროშის შოვნისა. ეს წყარო გახლავთ ეგრედ წოდებული „საყანჩიის ქვა“. ეს ქვა თავის ფერით და სიმაგრით ძალიან კარგის თვისებისაა. ამისათვისაც მოიპოვა მან დიდი სახელი და დიდი გასავალიც. ამ ქვას ვაგონებით აგზავნიან სხვა-და-სხვა ქალაქებში, როგორც შენობის საკეთებლად, აგრეთვე მოსაფენად და ძეგლების ასაგებლად. „საყანჩიის ქვის“ საშუალებით ბევრი დავალიანებულ-დაღარიბებული ოჯახი ფეხზედ წამოდგა, ბევრმა გაჭირვებულმა კაცმა სული მოიბრუნა.

კურსეველი ხალხი ძალიან თავმომწონეა. მეტის-მეტი მორთვა მოკაზმვა უყვართ. ეს იმის ბრალია, რომ ქუთაისი ახლოა და ჩვენებური ყმაწვილები კვირაში ორჯერ-სამჯერ მოივლიან ხოლმე ქალაქს. იქ ნახვენ, რომ ქუთათურ ახალგაზდებს სხვა-და-სხვა ნაირად მოჭრელებული წულა-მესტით ფეხები აქვთ გამოწკეპილი. ტანზედ ლამაზად შეკერილი ჩოხა აცვიათ, რომლის სამაჯეები ან სულ ყურებამდეა აპრეხილი, ან და სულ ჩავარდნილია ჩაჩნურად. ამაების მნახველნი, რასაკვირველია, შინ შეკერილ ჩოხა-ახალუხის და უპრალო წულის ჩაცმას როგორ იკადრებენ და რასაც შოულობენ, ყველაფერს ტან-ფეხს ანდომებენ.

კურსების მოზარდი ახალგაზდობა კარგი სანახავია. ამასთან თავმოყვარე და თავმომწონეა.

განათლების მხრივ კურსები ძალიან დაწეულია. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სიახლოვე ხელს უწყობს აქაურ მკვიდრთ შვილების გამოზრდას სხვა-და-სხვა სასწავლებელში, ჩვენებური კაცი მაინც არაფრათ ეტანება სწავლა-განათლებას და მთელს ას-სამოც კომლში ორიოდე გლეხი თუ მოიძებნება, რომელნიც თავისს შვილებს სასწავლებელში ზრდიდეს.

შარშან-წინ ჩვენში დიდის ვაი-ვაგლახით სამრევლო სკოლა დაიწყეს, რომელიც ჯერ კიდევ დაუსრულებელია. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, ეს სკოლა სკოლას არა ჰგავს. შენობა ღმერთმა შეინახოს და პლანი ხომ სულ არ ვარგა. ამიტომ ხშირიან მასწავლებლის შოვნა გასჭირდა. დარჩათ ბურთი და მოედანი იმისთანა პირებს, რომლებსაც სრულებით შეგნებული არა აქვთ, თუ რა არის მასწავლებლობა, რა დიდი მოვალეობა აძევს მას და ან როგორ უნდა სწავლება. ესენი თავიანთი ნებით, მთავრობის დაუკითხველად დგებიან მასწავლებლად, ასწავლიან რამდენსამე ხანს, აჰკრავენ ფულებს და გაუდგებიან გზას. აი ასე მიმდინარეობს ამ სკოლის საქმე. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ მომეტებული ნაწილი ვერ ელევა თავისს შვილებს სკოლაში მოსაცდენად.

რა არის მიზეზი, რომ ჩვენის სოფლის მკვიდრნი ასე გულ-გრილად ეკიდებიან სწავლას და სკოლის საქმეს? პირველი ისა, რომ მათ არ იციან ჯერ კიდევ კარგად სწავლის გემო და მისი სარგებლობა და მეორე, ამისთანა ცრუპენტელა მასწავლებლებმა სულ დაგვიფრთხო ხალხი.

ამისათვის ჩვენში საჭიროა იმისთანა კაცი, რომელსაც თავისის პატიოსნებით, ნიჭით და სწავლით, ცოცხალი მაგალითებით და მოქმედებით შეეძლოს პატივისა და რწმუნების დამსახურება ხალხში.

კურსებში ცრუ მორწმუნოება იმდენათ არ არის გავრცელებული, როგორც სხვა ქალაქ დაშორებულ სოფლებში.

მაგრამ აქ კი რა გასაკვირველია, რომ ცრუ მორწმუნენი ვეყოთ, როდესაც ისიც-კი, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ხალხის დარიგება და სწორ გზაზედ დაყენება, ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრა და ჭეშმარიტი სარწმუნოების განმტკიცება თითონაც ცრუმორწმუნეა.

ა. ბერეკაშვილი

---

ს. ობჩა, (ქუთაისის მაზრა) სოფელი ობჩა მთა გორიანი ადგილია. ამ სოფელში ორასამდე კომლი მცხოვრებელია. მომეტებული ნაწილი აზნაურობაა და ყველა კარგის შეძლებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ აზრად არავის მოსვლია რომ ერთი სამრევლო სკოლა მაინც დაეარსებინად ამ სოფელში. აქაური მღვდელი აგერ ოცი წელი შესრულდა, რაც ობჩაში სკოლის დაარსების შესახებ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, თუმცა სამადლობელს საქმეს იზამს, რომ აწი მაინც ითავებდეს ამ საქმეს და შეაგონებდეს თავისს მრევლსს სკოლის დარსების საჭიროებას, რომლისთვისაც ეკკლესიის გალავანში კარგი ღობით შემორაგული ადგილია.

წარსულს ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამავე ს. მცხოვრებს აზ. ქაიხოსრო ჯაფარიძეს თვრამეტის წლის გასათხოვარი ქალიშვილი მოსტაცა ერთმა ქუთაისის მცხოვრებელმა, აზ. ი. გ—მა. ხსენებულმა გ—ლმა დიდი ხანია, რაც ობჩაში სიარული დაიწყო და იმისმა მომხიბვლელმა ცეკვა-მოლხენამ დიდი გავლენა იქონია იმ ქალიშვილზედ და ისეთი სიყვარული ჩაუგდო გულში იმ ყმაწვილისა, რომ, როგორც ლაპარაკობენ ეხლა იმათ სიკვდილის მეტი ვერავინ დააშორებსო. იმათ განზრახვაზედ დედმამა, როგორც ქალისა, ეგრეთვე ვაჟისა, დიდნი წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ ერთს მშვენიერს დროს ამ ქალიშვილმა ისარგებლა დედ-მამის სხვაგან წასვლით, გადმოიპარა ლამფანჯრიდგან, რომ არ გაეგო კარებიდან გადმოსვლამ იქვე მეორე ოთახში მწოლარე მოსამსახურეს და გაჰყვა ზემოთ ხსენებულს გ—ლის, რომელიც იმ დროს იქვე უცდიდა.

აქეთ ძალიან გავრცელდა საქონლის ჭირი, ავადმყოფის საქონლის ხორცის ჭამას არ იშლიან და საშიშია ამ სენმა ხალხზედაც გავლენა არ იქონიოს.

ა—ნი

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 1893 წლის მე-230 №-ში დაბეჭდილია: „საქართველოში ამ საუკუნეში ერთობ დაეცა ჩუქურთმისა და კანკელის ხელოვნებაო. იყო ქართველებში ერთი ოსტატი ნ. გიგაური და ისიც ათი წელიწადია რაც გარდაიცვალაო“.

არ ვიცით რომელ გიგაურის გარდაცვალებას ამბობს კორესპონდენტი. თუ ჩემის ძმის შესახებ სწერს, რომელიც ამ შვიდის წლის წინად გარდაიცვალა, რომლის ხელობაც მეკარეობა იყო და არა მეჩუქურთმეობა. ხოლო მეკანკელე და მეჩუქურთმე გიგაური მე გახლავართ და ათის წლის წინად კი არა, ჯერაც არ მივიქრია სიკვდილი.

ეჭვი არ არის მეკანკელე გიგაურის სიკვდილის ამბავის გავრცელებამ მე დიდი ზარალი მომიტანა. ჩვენი სამღვდელოება გაფანტული სხვა-და-სხვა ქალაქ-სოფლებში და ამ ამბავს შემდეგ რა თქმა უნდა საქმისთვის მე აღარავინ მომმართავდა და კიდეც ეს უნდა იყოს მიზეზი წრევანდელის ჩემი უსაქმოდ დარჩენისა. რაც შეეხება ქართველთა შორის კანკელსა და ჩუქურთმის ხელოვნების დაკარგვას, არც ისე დაკარგულია ეს ხელობა. მართალია ეხლა სულ სადა კანკელებს მისდევენ და თუ ვისმე მოუნდომებია და მიუმართავს კარგის საქმის გასაკეთებლად, იმის გამკეთებელიც აღმოჩენილა. ჩემს გარდა არის ერთი მეჩუქურთმე და მეკანკელე სახელდობრ დავით აბდუშელიშვილი.

კორესპონდენტი აქებს ბ-ნ გრ. ზაზიაშვილს, ჩუქურთმის და კანკელისა დიდი ცოდნა აქვსო დარწმუნებული, ვარ რომ წაეკითხა ის ბ-ნს ზაზიაშვილს, თითონვე უარს იტყოდა ჩუქურთმისა და კანკელის ხელოვნების ცოდნაზედ. რაც შეეხება მხატვრობას ეს ხელობა კი კარგად იცის.

დავით გიგაური

## შემოწირულებანი

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ამბროსი გამყრელიძისაგან შეკრებილი 10 მან. 30 კაპ. ქუთაისის ქართულის თეატრის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა 6 მან., ამით შესდგა 16 მან. 30 კაპ.

მოგვყავს აქავე შემომწირველთა ნუსხა., ექიმმა ი. ს. ელიაშვილმა, 3 მ., თავ. ი. რატიშვილმა 1 მ., ამბროსი გამყრელიძემ 1 მ., ი.მ ჩიჩუამ 1მ., ქ-ნმა ტრუპაჩოვამ 1 მ., №. №. 1 მ., №.5 1 მ., კონსტანტინე იაშვილმა 50 კ., ალექსი კლიმიაშვილმა 40 კ., გ. პოტემკოვსკიმ 40 კ., სულ 10 მ. 30 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ნოემბერი

**პეტერბურგი** დღეს მომხდარს სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის მოგების ბილეთების ტირაჟის დროს უმთავრესი მოგებანი ხვდათ შემდეგს ფურცლებს.

| №№ სერიი. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 8593 | 34 | 200,000 |
| 7623 | 49 | 75,000 |
| 13217 | 23 | 40,000 |
| 10422 | 45 | 25,000 |
| 12174 | 12 | 10,000 |
| 8408 | 17 | 10 000 |
| 6223 | 45 | 10,000 |
| 8366 | 22 | 8,000 |
| 8275 | 4 | 8,000 |
| 2897 | 38 | 8,000 |
| 13671 | 19 | 8,000 |
| 40 | 46 | 8,000 |
| 14404 | 4 | 5,000 |
| 6347 | 40 | 5,000 |
| 8458 | 44 | 5,000 |
| 7466 | 22 | 5,000 |
| 14121 | 46 | 5,0ᴗ0 |
| 9991 | 36 | 5,000 |
| 1702 | 15 | 5,000 |
| 13147 | 33 | 5,000 |
| 1618 | 50 | 1,000 |
| 11920 | 36 | 1,000 |
| 685 | 9 | 1,000 |
| 1187 | 22 | 1,000 |
| 12805 | 46 | 1,000 |
| 2832 | 24 | 1,000 |
| 13830 | 17 | 1,000 |
| 13895 | 27 | 1,000 |
| 4150 | 30 | 1,000 |
| 3279 | 36 | 1,000 |
| 14830 | 50 | 1,000 |
| 5876 | 36 | 1,000 |
| 4387 | 11 | 1,000 |
| 6848 | 49 | 1,000 |
| 11777 | 30 | 1,000 |
| 3349 | 34 | 1,000 |
| 9323 | 23 | 1,000 |
| 6315 | 32 | 1,000 |
| 14882 | 31 | 1,000 |
| 6202 | 39 | 1,000 |

ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მიიღო გუშინ ანიჩკოვის სასახლეში სახელმწიფო საბჭო.

---

პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,40 | 7,43 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $147\frac{3}{4}$ | $148\frac{1}{2}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $191\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | $98\frac{3}{4}$ | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


**თესლეულობის დეპო შულცი ა.**

მოადგილე მ. ი. ფედოროვსკი

ფირმა არსებობს 1832 წლიდგან.

მოსკოვი, ბაღის ქუჩა, წითელ ჭიშ კარებთან, სახლი რაუზერისა.

სრული ნახატებიანი კატალოგი ბოსტნეულისა, ყვავილებისა და სოფლის მეურნეობის თესლეულობისა დაიბეჭდება 1894 წ. დეკემბრის თვეში. ჩვენს პატივცემულს მუდმივ ვაჭრებს კატალოგი უფასოდ გაეგზავნებათ. იმათი-კი, ვინც პირველად დაიბარებს კატალოგსა, კეთილ უნდა ინებონ და ოთხი შვიდ-შვიდ კაპიკიანი მარკა გამოგზავნონ. თუ სამს მანეთზედ მეტის თესლეულობას საფასურში დაიბარებენ, მაშინ ეს ფული ჩაერიცხებათ. ყველა თესლეულობა სამზღვარგარეთის ცნობილს მრეწველებისგან არის გამოწერილი და ჩვენს დეპოში შემოწმებული ამითი სიკეთე.

ვისაც გამოწერა სურს რუსულად უნდა მოიწერონ.

(8—მ.—1)


**აზნაური ეკატერინე დავითის ასული გაბაევისა და კნეინა მაგდან ივანეს ასული ჯანდიერისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძმისა და მეორე დისწულისას **ივანე დავითის ძის პავლიაშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ანჩისხატის ქუჩაზედ, წმინდის-გიორგის ეკკლესიაში, 5-ს ნოემბერს, დილის 9 საათზედ.

(2—1837—1)


**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღს ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—6.—1)



**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.



პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**, —$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა

თავ. იასონ ციციშვილისა

ფასი 15 კაპ.



**„სიჭაბუკის ცოდვა"**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.



**ცხოვრება**

შეიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.



ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

**ქრისტინე**

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**


# ნიხრი

რომელიც უნდა გადაუხადონ ამა 1894 წელს ტფილისის გუბერნიაში ფულით მინდვრებისა ველებისა და კორდების პატრონებს, თუ იმათი მამული სხვის პირუტყვმა (საქონელმა და ფრინველმა) წაახდინა.

სახელდობრ რა მამულზედ იქმნა დაჭერილი პირუტყვი.

მიწები, რომელიც დათესილია: ხორბლით, ქვავით, შვრიით, ქერით, ფეტვით, უგრეხელით, სიმინდით, ასლით და სხვ. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. მ. | კ. | გორისა. მ. | კ. | ახალციხისა. მ. | კ. | დუშეთისა. მ. | კ. | თიანეთისა. მ. | კ. | თელავისა. მ. | კ. | სიღნაღისა. მ. | კ. | ბორჩალოსი. მ. | კ. | ახალქალაქ. მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცხენი | 3 | — | 1 | 20 | 1 | — | 2 | — | 1 | — | 1 | — | — | 55 | 2 | — | 2 | — |
| კამბეჩი და აქლემი | 4 | — | 1 | 40 | 1 | — | 3 | — | 1 | 50 | 1 | — | — | 55 | 2 | 40 | 2 | 50 |
| ხარი | 3 | — | — | 85 | — | 70 | 2 | — | — | 60 | — | 65 | — | 45 | 2 | — | 2 | — |
| ძროხა | 3 | — | — | 85 | — | 70 | 2 | — | — | 60 | — | 65 | — | 40 | 2 | — | 1 | 50 |
| ხბო | 1 | — | — | 40 | — | 15 | 1 | — | — | 30 | — | 35 | — | 15 | — | 90 | — | 50 |
| ვირი და ჯორი | 1 | 60 | — | 70 | — | 40 | 1 | 50 | 1 | — | — | 80 | — | 40 | 1 | 10 | 1 | 50 |
| ღორი | 2 | — | 1 | — | 1 | — | 2 | — | 1 | — | 1 | 20 | — | 65 | 1 | 90 | 1 | — |
| ცხვარი | — | 40 | — | 25 | — | 30 | — | 40 | — | 30 | — | 30 | — | 5 | — | 30 | — | 25 |
| თხა | — | 40 | — | 45 | — | 30 | — | 40 | — | 50 | — | 35 | — | 15 | — | 30 | — | 35 |
| ბატი | — | 20 | — | 15 | — | 7 | — | 20 | — | 30 | — | 20 | — | 5 | — | 20 | — | 5 |
| ინდოური | — | 10 | — | 10 | — | 4 | — | 10 | — | 15 | — | 15 | — | 3 | — | 5 | — | 3 |
| ქათამი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 | — | — | — | — | — | — |

მიწები, რომელიც დათესილია კარტოფილით, კომბოსტოთი, ბაკლათი, მუხუდოთი, ლობიოთი, კიტრით, საზამთროთი და სხვ. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. მ. | კ. | გორისა. მ. | კ. | ახალციხისა. მ. | კ. | დუშეთისა. მ. | კ. | თიანეთისა. მ. | კ. | თელავისა. მ. | კ. | სიღნაღისა. მ. | კ. | ბორჩალოსი. მ. | კ. | ახალქალაქ. მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცხენი | 4 | — | 1 | 50 | 1 | 50 | 2 | — | 1 | — | 1 | 50 | — | 80 | 2 | 40 | 3 | — |
| კამბეჩი და აქლემი | 5 | — | 1 | 80 | 1 | 60 | 3 | — | 1 | 50 | 1 | 50 | — | 80 | 2 | 50 | 3 | — |
| ხარი | 4 | — | 1 | 10 | 1 | 25 | 2 | — | — | 80 | — | 85 | — | 55 | 2 | — | 2 | 70 |
| ძროხა | 4 | — | 1 | 10 | 1 | 25 | 2 | — | — | 80 | — | 85 | — | 50 | 2 | — | 2 | 60 |
| ხბო | 1 | — | — | 50 | — | 20 | 1 | — | — | 40 | — | 50 | — | 15 | — | 90 | 1 | 50 |
| ვირი და ჯორი | 1 | — | — | 85 | — | 75 | 1 | 50 | 1 | — | 1 | 15 | — | 75 | 1 | — | 2 | 60 |
| ღორი | 3 | — | 1 | 40 | 1 | 80 | 2 | — | 1 | 50 | 1 | 70 | 1 | 20 | 3 | — | 4 | — |
| ცხვარი | — | 60 | — | 40 | — | 50 | — | 40 | — | 30 | — | 35 | — | 6 | — | 25 | — | 10 |
| თხა | — | 60 | — | 50 | — | 50 | — | 40 | — | 80 | — | 40 | — | 25 | — | 25 | — | 15 |
| ბატი | — | 40 | — | 25 | — | 8 | — | 40 | — | 10 | — | 25 | — | 6 | — | 30 | — | 20 |
| ინდოური | — | 10 | — | 10 | — | 5 | — | 10 | — | 10 | — | 20 | — | 3 | — | 6 | — | 10 |
| ქათამი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 15 | — | — | — | — | — | — |

სათიბი ადგილები. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. მ. | კ. | გორისა. მ. | კ. | ახალციხისა. მ. | კ. | დუშეთისა. მ. | კ. | თიანეთისა. მ. | კ. | თელავისა. მ. | კ. | სიღნაღისა. მ. | კ. | ბორჩალოსი. მ. | კ. | ახალქალაქ. მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცხენი | 1 | — | — | 50 | — | 50 | 1 | — | — | 30 | — | 30 | — | 35 | — | 70 | 1 | 30 |
| კამბეჩი და აქლემი | 1 | — | — | 50 | — | 60 | 1 | — | — | 40 | — | 30 | — | 35 | — | 70 | 1 | — |
| ხარი | 1 | — | — | 50 | — | 50 | 1 | — | — | 20 | — | 20 | — | 35 | — | 70 | — | 30 |
| ძროხა | 1 | — | — | 50 | — | 50 | 1 | — | — | 20 | — | 20 | — | 35 | — | 70 | — | 20 |
| ხბო | — | 60 | — | 15 | — | 10 | — | 50 | — | 5 | — | 10 | — | 10 | — | 50 | — | 7 |
| ვირი და ჯორი | — | 60 | — | 40 | — | 30 | — | 50 | — | 30 | — | 25 | — | 35 | — | 65 | — | 50 |
| ღორი | 1 | — | — | 50 | — | 60 | 1 | — | — | 50 | — | 40 | — | 45 | — | 50 | — | 20 |
| ცხვარი | — | 40 | — | 15 | — | 15 | — | 30 | — | 5 | — | 5 | — | 5 | — | 25 | — | 10 |
| თხა | — | 40 | — | 15 | — | 15 | — | 30 | — | 5 | — | 5 | — | 8 | — | 25 | — | 15 |
| ბატი | — | 5 | — | 10 | — | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | 4 | — | — |
| ინდოური | — | 5 | — | 5 | — | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | 3 | — | — |
| ქათამი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

საძოვარი ადგილები ზამთრისა და ზაფხულისა. — მაზრა.

| რა პირუტყვია დაჭერილი. | ტფილისისა. მ. | კ. | გორისა. მ. | კ. | ახალციხისა. მ. | კ. | დუშეთისა. მ. | კ. | თიანეთისა. მ. | კ. | თელავისა. მ. | კ. | სიღნაღისა. მ. | კ. | ბორჩალოსი. მ. | კ. | ახალქალაქ. მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცხენი | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 10 | — | 10 | — | 10 | — | 50 | — | 30 |
| კამბეჩი და აქლემი | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 20 | — | 10 | — | 10 | — | [illegible] | — | 20 |
| ხარი | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 10 | — | 10 | — | 10 | — | 50 | — | 10 |
| ძროხა | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 10 | — | 10 | — | 10 | — | 50 | — | 8 |
| ხბო | — | 40 | — | 15 | — | — | — | 30 | — | 5 | — | 5 | — | 5 | — | 30 | — | 5 |
| ვირი და ჯორი | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 10 | — | 10 | — | 10 | — | 50 | — | 25 |
| ღორი | — | 60 | — | 40 | — | — | — | 50 | — | 20 | — | 15 | — | 10 | — | 50 | — | 8 |
| ცხვარი | — | 20 | — | 10 | — | — | — | 20 | — | 5 | — | 5 | — | 3 | — | 10 | — | 5 |
| თხა | — | 20 | — | 15 | — | — | — | 20 | — | 10 | — | 5 | — | 3 | — | 10 | — | 5 |
| ბატი | — | 5 | — | 5 | — | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ინდოური | — | 5 | — | 5 | — | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ქათამი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

ეს ნიხრი დამტკიცებულია ტფილისის საგუბერნიო მმართველობის მიერ 31 მაისს, 1894 წ.

შენიშვნა. ეს ნიხრი სავალდებულო არ არის იმ მემამულესათვის, რომელსაც პირუტყვი ან ფრინველი წაუხდენს რაიმე მოსავალს; თუ იგი თანახმა არ არის ამ ნიხრში აღრიცხულ გარდასახადი მიიღოს, შეუძლიან თვისი ზარალი მომრიგებელ ან სასოფლო სასამართლოს დააფასებინოს და ისე გარდა ხდევინოს პირუტყვის პატრონს.

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—27)




დუხი „საფო“
დუხი „ნევას „კ-პრიზი“
დუხი „თეთრი მუსკი“,
ძლიერ გამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—4 - 4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| ემეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| ახზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| ახზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| რილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| გვე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| ოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| ექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| ატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| ობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| უხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| ჰალევს თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| ითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| ონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| ეუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება . . როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ-ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთნის; ალექსანდრე მუნთოევის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აჯვალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—34 ალლო თუთაევი

„ИВЕРІЯ“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ. — კ. | | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. | |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 50 „ | |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | | . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**



„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგ, ნევის პროსპეკტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთაკისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლის ს-ბ ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზავნებათ.

(40—1061—22)

**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის




VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“
ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать **ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ** сочиненія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составить ВЪ ГДЪ 24 ТОМА (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

**Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:**

1) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ**

**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) **СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ**

**ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.**

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ **3 р.** съ доставкой и пересылкой **4 р.**

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

**Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ** (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

**Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.**

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв. Зеркальная л., 63, магаз. Пантелѣва (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—8)

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Ноября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.